პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
3 აპრილი
1940 წ.
№ 77 (5778)
ფასი 10 კაპ.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1940 წლის 2 აპრილის სხდომის შესახებ

გუშინ, 2 აპრილს, დღის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **უსმან იუსუფოვი**.

დღის წესრიგშია კამათი სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **მ. კურბანოვი** (კულიაბის ოლქი, ტაჯიკეთის სსრ), სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. **მ. ფ. დენისოვი**, დეპუტატები— **მ. კ. სიმონუენკოვა** (რამენსკოეს ოლქი, მოსკოვის ოლქი), **კ. ვ. კისელიოვი** (გლუბოკის ოლქი, ვილეიკის ოლქი, ბელორუსიის სსრ) და **ა. ხუდაიბერგენოვი** (ტაშაუზის ოლქი, თურქმენეთის სსრ), სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. **ი. ა. ბენედიქტოვი**, დეპუტატი **ა. კენჟეგარაევი** (აქტიუბინსკის ოლქი, ყაზახეთის სსრ), მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ვ. პ. პრონინი**, დეპუტატები—**ი. დ. კრიხი** (ტარნოპოლის საარჩევნო ოლქი, ტარნოპოლის ოლქი, უკრაინის სსრ), **ტ. კულატოვი** (ჯელალ-აბადის ოლქი, ყირგიზეთის სსრ), **ა. ი. ვიშინსკი** (ვოლსკის ოლქი, სარატოვის ოლქი) და **ფ. ხ. პესტრაკი** (გროდნოს ოლქი, ბელოსტოკის ოლქი, ბელორუსიის სსრ).

ამით იხურება კავშირის საბჭოს მეექვსე სესიის მესამე სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1940 წლის 2 აპრილის სხდომის შესახებ

გუშინ, 2 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ვ. კულაგინი**.

დღის წესრიგშია კამათი სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატები **რ. კ. იბრაგიმოვი** (მელეუზის ოლქი, ბაშკირეთის ასსრ) და **გ. ა. კარკარიანი** (სტეფანაკერტის ოლქი, მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქი), სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარი **ა. ნ. კოსიგინი**, დეპუტატები **ა. კაზაკპაევი** (აკმოლინსკის ოლქი, ყაზახეთის სსრ), **ს. ო. პრიტიცკი** (გროდნოს ოლქი, ბელორუსიის სსრ), **მ. ი. შეველევი** (ცენტრალური საქალაქო ოლქი, ჩრდილოეთ-ოსეთის ასსრ) და **ვ. კ. ტრუტნევი** (ყაზანის სასოფლო ოლქი, თათრეთის ასსრ), სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. **ს. გ. ლუკინი**, დეპუტატები — **ტ. მირზაევი** (ანდიჯანის სასოფლო ოლქი, უზბეკეთის სსრ) და **ი. ი. კრავჩუკი** (დროგობიჩის ოლქი, უკრაინის სსრ).

ამით იხურება ეროვნებათა საბჭოს მეექვსე სესიის მესამე სხდომა.

მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის ბიუჯეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია იხილავს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტს, ბიუჯეტს დიადი საბჭოთა სახელმწიფოსას, სადაც სდუღს და გადმოსდუღს სამეურნეო და კულტურული მშენებლობა, სადაც დღითი-დღე იზრდება ხალხის სიმდიდრე, სადაც ხორცს ისხამენ გრანდიოზული სოციალისტური გეგმები.

ციფრების ზუსტ ენაზეა გადაყვანილი მილიონობით ადამიანთა შრომითი მოღვაწეობა. ბიუჯეტის თვითეულ მუხლში მოსჩანან არა მარტო მილიარდები, არამედ მილიარდთა შემომქმედნიც — ჩვენი მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, მათი მეცადინეობით, ხალხის მეცადინეობით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შექმნილია აყვავებული სოციალისტური მეურნეობა—სახელმწიფო შემოსავლის ძირითადი წყარო. უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოქვეყნებულ ციფრებს სიამაყით განიმეორებენ ათასობით ადამიანები ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, ქალაქებსა და სოფლებში, როგორც ჩვენი დღევანდელი მიღწევების გამომხატველთ და ხვალინდელ გამარჯვებათა წინამორბედთ.

182.585,9 მილიონი მანეთი—ასეთია მთავრობის მიერ 1940 წლისათვის წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის მოსალოდნელი შემოსავალი, ხოლო ჩვენში ყველამ იცის, რომ ბოლშევიკურ გეგმაში მოსალოდნელი—ეს რეალურია. თვით ეს თანხა, რომელიც 26-ნახევარ მილიარდი მანეთით და კიდევ მეტად სჭარბობს გასული წლის შემოსავალს, ბევრს რასმე გვეუბნება და, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ განუწყვეტლივ იზრდება ქვეყნის სამეურნეო ძლიერება.

ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტის შემოსავლის მთავარ წყაროებს წარმოადგენენ ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავალი, მაშასადამე, ჩვენი სამეურნეო მუშაობის ნაყოფი. მესამე სტალინური ხუთწლედის მიმდინარე, მესამე წელს პროდუქციის გამოშვება, გასულ წელთან შედარებით, უნდა გადიდდეს 13,6 პროცენტით, ხოლო საქონელბრუნვა 15,7 პროცენტით. მრეწველობაში მუშათა შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს 11 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება უნდა შემცირდეს 2,8 პროცენტით. აქედან გამომდინარეობენ დაგროვებანი, აქედან გამომდინარეობს ბრუნვის გადასახადის თანხის ზრდა, სახელმწიფო საწარმოთა მოგების ანარიცხების მოცულობის გადიდება.

ამიტომ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის თვითეული მუშაკი პირდაპირ კავშირს უნდა ხედავდეს თავისი საწარმოს გეგმის შესრულებასა და მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტს შორის. ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის ხარჯვის მაქსიმალური ეკონომიისათვის, წუნის შემცირებისათვის ამავე დროს არის ზრუნვა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ზრდისათვის და ამით—ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის, მისი თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის. უყაირათობა და მფლანგველობა, სათბობის, ლითონის, ელექტროენერგიის ყოველგვარი დანაკარგები, ზედნადები ხარჯების გაბერვა, შტატების მეტისმეტად გადიდება, ხელფასის ფონდების გადახარჯვა—ეს არის არა მარტო ამათუიმ საწარმოს ზარალი, არამედ ჩვენი ქვეყნისათვის მიყენებული ზიანი. მომხსენებელმაც—სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ზვერევმა, თანამომხსენებლებმაც — ამხ. ნიკოლაევმა და ხოხლოვმა, სესიაზე კამათში გამოსულმა დეპუტატებმაც საკმაოდ მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, თუ ჯერ კიდევ რარიგ მნიშვნელოვანია ჩვენში ყოველგვარი დანაკარგები. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებებში აღნიშნულია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადიდებისა და მისი საგასავლო ნაწილის ერთგვარად შემცირების შესაძლებლობა. ყველა ჩვენმა სამეურნეო მუშაკმა, მათი მოქმედების მასშტაბის მიუხედავად, უნდა ისწავლოს ფულის ანგარიში, ისინი უნდა იყვნენ ნამდვილი სახელმწიფო მუშაკები, მომჭირნე ხელმძღვანელები, რომელთაც შეეძლებათ თავიანთი მიმდინარე ამოცანების გადაჭრა დაუკავშირონ მთელი ქვეყნის ინტერესებს, მთელი ხალხის ინტერესებს.

ბიუჯეტით გათვალისწინებულია თერთმეტ მილიარდზე მეტი მანეთი შემოსავალი სახელმწიფო სესხებისაგან. ეს სესხები ჩვენში განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობენ, რასაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მესამე ხუთწლედის სესხზე (მეორე წლის გამოშვება) ხელმოწერამ 1637 მილიონი მანეთით გადააჭარბა მთავრობის მიერ ნავარაუდევ თანხას. ჩვენი ქვეყნის მშრომელები სესხებზე ერთსულოვანი ხელმოწერით ცხადჰყოფენ თავიანთ მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებულობას. სესხებისაგან შემოსავალი ჩვენში წლითი-წლობით იზრდება, ვინაიდან განუწყვეტლივ უმჯობესდება მასების მატერიალური მდგომარეობა, მოსახლეობას უგროვდება სულ უფროდაუფრო მეტი დანაზოგი. ეს იქიდანაც სჩანს, რომ შემნახველ სალაროებში იზრდება ანაბარები: მარტო გასული წლის მანძილზე ეს ანაბარები ერთი მილიარდი მანეთით გადიდდა.

არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც, შევასრულოთ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი!—ამისათვის უნდა იბრძოდნენ არა მარტო საფინანსო დარგის მუშაკები, არამედ ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებიც. რაც უფრო მეტია შემოსავალი, მით უფრო მეტი სახსრების წარმართვა შეუძლია ჩვენს მთავრობას სამეურნეო, კულტურული და თავდაცვითი მშენებლობის დასაფინანსებლად. 1940 წლის ბიუჯეტის საგასავლო მუხლები კი ცხადჰყოფენ ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის, კულტურისა და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ ზრდას.

57 მილიარდზე მეტი მანეთი მოხმარდება სახალხო მეურნეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში აიგება ახალი, ელექტროსადგურები, ქარხნები, შახტები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, საცხოვრებელი სახლები. სახსრების უმეტესი ნაწილი მოხმარდება კაპიტალურ მშენებლობას: ეს ფული მაქსიმალური ეფექტით უნდა იქნას გამოყენებული — მშენებლობის ტემპები უნდა დაჩქარდეს, ღირებულება უნდა გაიაფდეს.

43 მილიარდამდე მანეთი დანიშნულია კულტურულ ღონისძიებათათვის, უმთავრესად განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმისათვის. ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა ხელისუფლება გამუდმებით ზრუნავენ ხალხის მატერიალურ – კულტურული პირობების გაუმჯობესებისათვის. პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებით მესამე ხუთწლედში ქალაქად ხორციელდება საყოველთაო საშუალო სწავლება, ხოლო სოფლად და ყველა ნაციონალურ რესპუბლიკაში მთავრდება საყოველთაო შვიდწლიანი საშუალო სწავლება და მატულობს იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომელნიც ათწლიან განათლებას იღებენ. პარტიის XVIII ყრილობამ წინადადება მოგვცა მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ მუშაობა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში. ამისათვის საჭიროა სახსრები,—ეს სახსრები არის, ისინი შეტანილი არიან ბიუჯეტში.

13 მილიონმა ახალმა საბჭოთა მოქალაქემ—პოლონეთის პანების უღლისაგან განთავისუფლებული უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქების მცხოვრებლებმა მიიღეს შრომის, განათლების, დასვენების წმინდა უფლებანი. საბჭოთა კავშირი, როგორც სახალხო კომისარმა ამხ. ზვერევმა სთქვა სესიაზე თავის მოხსენებაში, არ მოერიდება საჭირო ხარჯებს, რათა უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქების მშრომელებს დაეხმაროს უფრო მალე იგრძნონ სოციალისტური წყობილების უპირატესობანი. ამისთვის საჭიროა სახსრები,—ეს სახსრები გათვალისწინებულია სსრ კავშირის ბიუჯეტში.

განსაკუთრებული მოწონებით შეხვდნენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და მათთან ერთად ყველა მათი ამომრჩეველნი მთავრობის წინადადებას თავდაცვისათვის 57 მილიარდი მანეთის გაღების შესახებ. წითელმა არმიამ სულ ამ ცოტა ხნის წინათ თავისი ბრწყინვალე წარმატებებით კვლავ ცხადჰყო თავისი უძლეველი ძალა. მან წითელ ფლოტთან ერთად შემუსრა იმპერიალისტების მიერ ფინეთში სსრ კავშირის წინააღმდეგ შექმნილი საომარი პლაცდარმი, გაანადგურა საბჭოთა კავშირისადმი ყველაზე მტრულად განწყობილი მთელი რიგი იმპერიალისტური ქვეყნების გაერთიანებული ძალები. „მაგრამ ჩვენ ვერ დავივიწყებთ,—როგორც სთქვა თავის მოხსენებაში სესიაზე ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა,—რომ უკანასკნელმა ამბებმა ჩვენ ყველას კვლავ მოგვაგონა, რომ საჭიროა ჩვენი წითელი არმიის ძლიერებისა და ჩვენი ქვეყნის მთელი თავდაცვის შემდგომი განუხრელი განმტკიცება“. და სწორედ ამის დასკვნაა 57 მილიარდი მანეთი თავდაცვისათვის. არტილერიისათვის, ტანკებისათვის, თვითმფრინავებისათვის, ხომალდებისათვის, „ვოროშილოვური კილოგრამებისათვის“!

დეპუტატმა კორნიეცმა გუშინ კავშირის საბჭოს სხდომაზე განაცხადა:

— ახლანდელი საერთაშორისო ვითარება გვავალებს, სამშვიდობო პოლიტიკის შემდგომ განხორციელებასთან ერთად, გავატაროთ აგრეთვე საჭირო ღონისძიებანი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. თავდაცვის საქმისათვის 57 მილიარდი მანეთის გაღება საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მძლავრ მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ გადავაქციოთ საბჭოთა კავშირი. იგი საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო ძლიერად, კიდევ უფრო კარგად შევაიარაღოთ ტექნიკურად ჩვენი უძლეველი, მამაცი წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია იხილავს, ალბეჭდილია მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის ყველა თვისება. ეს არის სსრ კავშირის შემდგომი სამეურნეო და კულტურული აყვავების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდის, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობისა და სიდიადის განმტკიცების წელი.

„პრავდის“ მოწინავე, 2/IV.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის სხდომების შესახებ

დღეს, 3 აპრილს, დღის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში, კრემლში, შესდგება კავშირის საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგშია კამათი სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

დღეს, 3 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგება ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგშია კამათი სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

ირანის მეჯლისში

თეირანი, 2 აპრილი (საკდესი). გუშინ მეჯლისმა პირველი წაკითხვისას დაამტკიცა ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ სსრ კავშირსა და ირანს შორის 25 მარტს ხელმოწერილი ხელშეკრულება.

ხელშეკრულება რატიფიკაციისათვის გადაცემული იქნა მეორედ წასაკითხად.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1940 წლის 31 მარტის სხდომაზე*

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თქვენს დასამტკიცებლად შემოაქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. იმავდროულად თქვენს დასამტკიცებლად წარმოდგენილია სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია 1940 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად. სახელმწიფო ბიუჯეტში დასახული ზრდა შემოსავლისა და გასავლისა ემყარება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობის უდიდეს მიღწევებს და დაპირობებულია იმ ამოცანებით, რომლებიც უნდა გადაიჭრას სამეურნეო, კულტურული და თავდაცვითი მშენებლობის დარგში მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წელს.

წარსულმა 1939 წელმა ახალი წარმატებანი მოუტანა საბჭოთა ხალხს. კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენი სამშობლოს ძლიერება, კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი. საბჭოთა კავშირის ხალხთა შეთანხმებულ ოჯახს 13 მილიონი კაცი შემატა: ამ ოჯახში შემოვიდნენ ჩვენი თვისტომი ძმები—დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხები, რომელნიც გმირმა წითელმა არმიამ გაათავისუფლა პოლონელი მემამულეებისა და კაპიტალისტების უღლისაგან.

1939 წლის დეკემბერში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. ამ არჩევნებმა კიდევ და კიდევ დაანახვეს მთელს მსოფლიოს საბჭოთა ხალხის ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. არჩევნები იყო ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა ბელადის, მთელი ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის დიდი სტალინისადმი საყოველთაო-სახალხო სიყვარულის ახალი დაუვიწყარი დემონსტრაცია **(მქუხარე ტაში)**. ლენინ-სტალინის დიადი საქმის ასეთსავე ზეიმს წარმოადგენდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა არჩევნები უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქებში. კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემით უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქების მშრომელებმა გამოხატეს თავიანთი სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, თავიანთი მტკიცე ნებისყოფა, რათა მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად, სტალინური კონსტიტუციის დროშით, აშენონ კომუნიზმი.

1939 წლის ერთერთი უაღრესად მნიშვნელოვანი სამეურნეო შედეგი არის სამრეწველო წარმოების დიდი ზრდა. 1939 წლის განმავლობაში მრეწველობის პროდუქცია 14,7 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როცა 1938 წლის განმავლობაში ზრდა 11,3 პროცენტს შეადგენდა. სამრეწველო წარმოების ასეთი ზრდა გვიჩვენებს, რომ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ისტორიული ამოცანები წარმატებით სრულდება.

მრეწველობის პროდუქციის ზრდა განუყრელად არის დაკავშირებული სტახანოვური მოძრაობის შემდგომს განვითარებასთან. 1939 წელს წარმოიშვა და ფართოდ გავრცელდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმები — მრავალდაზგოსანთა მოძრაობა და პროფესიების შეთავსება. შარშან შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 16,7 პროცენტით გაიზარდა.

ცოტა წარმატებანი როდია მიღწეული სოფლის მეურნეობის დარგშიც. მარცვლეულის მოსავალი უფრო დიდი იყო, ვიდრე 1938 წელს. თვალსაჩინოდ გაიზარდა კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა.

იმ წარმატებებმა, რომლებიც მოპოებულია 1939 წელს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში, დააპირობეს საბჭოთა კავშირის ფინანსური ძლიერების შემდგომი გადიდება.

1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შესრულებულია 127,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ხოლო გასავლისა — 124 მილიარდი მანეთის რაოდენობით. შემოსავალმა გასავალს 3,5 მილიარდი მანეთით გადააჭარბა.

სახალხო მეურნეობის შემდგომმა განვითარებამ, რაც მიღწეულია 1939 წელს, ხელსაყრელი პირობები შექმნა ბიუჯეტის ახალი ზრდისათვის. წინასწარი მონაცემები სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გვიჩვენებენ, რომ ბიუჯეტის შემოსავალი 1939 წელს 22,3 პროცენტით გადიდდა 1938 წელთან შედარებით. სულ ბიუჯეტში შემოვიდა 155,9 მილიარდი მანეთი (გეგმის 99,9 პროცენტი), ხოლო დაიხარჯა 153,1 მილიარდი მანეთი (გეგმის 98,5 პროცენტი). შემოსავალმა გასავალს 1939 წელს 2,8 მილიარდი მანეთით გადააჭარბა.

სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოდგენილია თქვენს დასამტკიცებლად შემოსავლის ნაწილში 182,6 მილიარდი მანეთის რაოდენობით და გასავლის ნაწილში — 179,7 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ხოლო საკავშირო ბიუჯეტის სახსრების იმ ნაშთის ჩათვლით, რომელიც წლის დამლევისათვის სახბანკის ანგარიშზე იგეგმება — 181,2 მილიარდი მანეთის რაოდენობით. შემოსავალი გასავალს 1,4 მილიარდი მანეთით გადააჭარბებს.

1939 წელთან შედარებით სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი 1940 წელს შემოსავლის ნაწილში იზრდება 26,7 მილიარდი მანეთით, ანუ 17,1 პროცენტით.

საკავშირო ბიუჯეტით შემოსავლის საერთო მოცულობა განსაზღვრულია 140 მილიარდი მანეთით, ხოლო გასავლის მოცულობა — 138,6 მილიარდი მანეთით. მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტების მოცულობა განსაზღვრულია 42,6 მილიარდი მანეთით.

სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტების — საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების—საშემოსავლო ნაწილი სდგება შემდეგი ძირითადი წყაროებისაგან (მილიონ მანეთობით):

შემოსავლის წყაროები	თანხა
მთელი შემოსავალი	182.585,9
აქედან:	
ბრუნვის გადასახადი	108.349,0
მოგების ანარიცხი	22.367,9
სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრები	9.136,0
მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავალი	2.623,4
სახელმწიფო სესხები	11.171,0
მოსახლეობის გადასახადი და გამოსაღები	9.703,8

1940 წელს ბრუნვის გადასახადი გათვალისწინებულია 108,3 მილიარდი მანეთის რაოდენობით. გასულ წელთან შედარებით მატულობს 11,5 მილიარდი მანეთით, ანუ 11,9 პროცენტით. ბრუნვის გადასახადის შემოსავალი რამდენადმე უფრო ნაკლებად იზრდება, ვიდრე სასაქონლო პროდუქციის გამოშვება, რომელიც 1940 წელს, 1939 წელთან შედარებით, უნდა გადიდდეს 13,6 პროცენტით. ეს აიხსნება იმით, რომ დასახულია გადასახადის განაკვეთთა შემცირება, რათა სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში მოგება გადიდდეს.

1939 წელს მთავრობამ მიიღო ზომები სახელმწიფო შემოსავლის დარგში მუშაობის გასაუმჯობესებლად. გადასინჯულია პურის პროდუქტების, ხორცის პროდუქტების, კონსერვების, საკონდიტრო ნაწარმისა და მთელი რიგი სხვა საქონლის ხაზით ბრუნვის გადასახადის განაკვეთები. მნიშვნელოვნად მოწესრიგებულია დაგეგმვაც. გადასინჯულია ინსტრუქციები გადასახადით ბრუნვის დაბეგვრის წესის შესახებ. შესამჩნევად ძლიერდება ფინორგანოების კონტროლი ბიუჯეტში გადასახდელთა შეტანაზე. ყოველივე ამან დადებითი გავლენა მოახდინა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებაზე.

1939 წლის განმავლობაში გეგმის გადამეტებით ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადის ხაზით შემოვიდა 4.085 მილიონი მანეთი.

მაინც, გამოყენებულია თუ არა ყველა შესაძლებლობა სახელმწიფო შემოსავლის გასადიდებლად? არა, ყველა შესაძლებლობა როდია გამოყენებული. ავიღოთ თუნდაც ადგილობრივი მეურნეობა, რომელიც შეიძლება და კიდევაც უნდა გახდეს საბიუჯეტო შემოსავლის დამატებითი ზრდის სერიოზული წყარო. არ შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი საბჭოები და ფინორგანოები ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ ადგილობრივ მეურნეობას, ეძებდნენ მასში შინაგან რეზერვებს. ამავე დროს კი, ფინანსიური აპარატის მოწინავე ადამიანთა გამოცდილება გვიჩვენებს, თუ რა ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ფინორგანოებს ამ მიმართულებით, თუ ისინი ღრმად ჩასწვდებიან ადგილობრივ საწარმოთა საქმიანობას და დაბეჯითებით გაატარებენ ცხოვრებაში პარტიისა და მთავრობის დირექტივებს ადგილობრივი რესურსების გამოყენებით სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოების შესახებ.

საქონელბრუნვა 1940 წელს გაიზრდება 15,7 პროცენტით, მაშასადამე, ბრუნვის გადასახადის შემოსვლის დასახულ პროგრამას, მკვიდრი ეკონომიური ბაზა აქვს. მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდების კონტროლი, სასაქონლო რესურსების მაქსიმალურად გადიდებისათვის ბრძოლა სამეურნეო და საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

წინასწარი ცნობების მიხედვით, 1939 წელს მოგების ანარიცხები (თუ ჩავთვლით სამეურნეო ორგანოების საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაზარდის აღებას) ბიუჯეტით გათვალისწინებული 17,7 მილიარდი მანეთის ნაცვლად, 15,4 მილიარდ მანეთს შეადგენს. დანაკლისი იმან გამოიწვია, რომ სახალხო მეურნეობის ზოგიერთმა დარგმა მთლიანად ვერ შეასრულა პროდუქციის გამოშვების გეგმა, თვითღირებულების შემცირების დავალება, რომელიც მათთვის იყო დამტკიცებული, და ამას შედეგად მოჰყვა დაგროვების გეგმის არამთლიანი შესრულება.

1940 წლისათვის სახალხო მეურნეობის მთელი მოგება გათვალისწინებულია 33,3 მილიარდი მანეთის რაოდენობით. ბიუჯეტში მოგების ანარიცხები გათვალისწინებულია 22,4 მილიარდი მანეთის რაოდენობით, რაც 1939 წელთან შედარებით, 45 პროცენტით ზრდას ნიშნავს.

მოგების ზრდას, რომელიც ნავარაუდევია პროექტით, საფუძვლად უდევს, პირველყოვლისა, მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა შრომის ნაყოფიერების ზრდა 11 პროცენტით, რაც გათვალისწინებულია 1940 წლისათვის, აგრეთვე დავალება, რომ 1939 წელთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულება შემცირდეს 2,8 პროცენტით (საგასაცემო ფასის შეცვლის ჩაუთვლელად), რაც მოგვცემს 4,7 მილიარდ მანეთს დამატებით დაგროვებას.

1940 წლისათვის დასახული თვითღირებულების შემცირების დავალება მინიმალურია. იგი შეიძლება არამარტო შესრულდეს, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდეს. ამისათვის საჭიროა აღმოიფხვრას წარმოებაში დანაკარგი, საჭიროა გამოყენებულ იქნას უდიდესი რეზერვები, რომლებიც მეურნეობაში მოიპოვება.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს იმ დიდ დანაკარგზე, რომელიც მანქანათმშენებელ ქარხნებს და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოებს, კერძოდ, ფერად მეტალურგიას აქვს წუნისაგან. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აქამდე არ არის აღმოფხვრილი დამზადებათა სახალხო კომისარიატის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მრავალი ნაკლი.

მრავალი სამეურნეო მუშაკი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელმაც მოითხოვა სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განმტკიცება, უთაურობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, საწარმოთა რენტაბელობის გადიდება. ჯერ კიდევ ყველა სამეურნეო მუშაკმა ვერ შეიგნო სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე თავისი პასუხისმგებლობა სახალხო სახსრების მართებული და ეკონომიური ხარჯვისათვის.

1939 წელს ჩატარებულ იქნა სოფლად საგადასახადო რეფორმა. ამ რეფორმას მოწონებით შეხვდა კოლმეურნეთა მთელი მრავალმილიონიანი მასა. 1939 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსავალი 1,5 მილიარდი მანეთი იყო.

მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ საგადასახადო მუშაობა სოფლად ჯერ კიდევ ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებს მათ პარტია და მთავრობა. მაგალითად, ჯერ კიდევ ცუდად არის მოწყობილი ერთპიროვნულ მეურნეთაგან გადასახადის აკრეფა. ამ საქმეში, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, საფინანსო ორგანოები საკმაო სიმტკიცეს ვერ იჩენენ.

ცუდად არ ჩაუტარებიათ საფინანსო ორგანოებს 1939 წელს საშემოსავლო გადასახადის, კულტგამოსაღებისა და ადგილობრივი გადასახადების აკრეფა ქალაქად. მოსახლეობიდან მთლიანად გადასახადის შემოსვლის გეგმა 1939 წელს შესრულებულია 108,2 პროცენტით.

1940 წელს მოსახლეობის გადასახადთა და გამოსაღებთა შემოსვლის გეგმა ითვალისწინებს 9,7 მილიარდ მანეთს.

ამხანაგო დეპუტატებო, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ერთდროულად გიდგენთ დასამტკიცებლად მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის ახალი კანონის პროექტს და საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების ახალი კანონის პროექტს.

მოქმედი კანონის თანახმად, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი საშემოსავლო გადასახადით პროგრესიული შკალის მიხედვით იბეგრება 0,6 პროცენტიდან, თუ თვიური ხელფასი 140 მანეთია, 3,3 პროცენტამდე, თუ თვიური ხელფასი 600 მანეთი და მეტია. ახალი კანონით გათვალისწინებულია ერთგვარი დიფერენციაცია საგადასახადო განაკვეთებისა იმ პირთათვის, რომელნიც 600 მანეთზე მეტ ხელფასს იღებენ. გათვალისწინებულია აგრეთვე მოწესრიგდეს ლიტერატორებისა და ხელოვნების მუშაკთა შემოსავლის დაბეგვრა. ის პირნი, რომელთა წლიური შემოსავალი 20 ათას მანეთს არ აღემატება, დაბეგრილ იქნებიან მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად, ხოლო 20 ათას მანეთზე მეტი შემოსავლის მქონენი — განაკვეთთა სხვა პროგრესიული შკალის მიხედვით, რომელიც დაპროექტებულია არსებულზე ნაკლები რაოდენობით.

განზრახულია შეიცვალოს აგრეთვე არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა შემოსავლის დაბეგვრის წესი. მოქმედი კანონის თანახმად, არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა უმრავლესობა გადასახადით შემოსავლის მტკიცე ნორმების მიხედვით იბეგრება. შემდეგში მიზანშეწონილი იქნება დაბეგვრა ფაქტიური შემოსავლის მიხედვით. ეს შესაძლებლობას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ გათანაბრების ელემენტები არაკოოპერირებულ შინამრეწველთა დაბეგვრის დროს, რომელთაც არათანაბარი შემოსავალი აქვთ.

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

---

*) ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენება იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

ეროვნებათა საბჭოს 1 აპრილის სხდომა

1 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში შესდგა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

18 საათია. სტუმრების ადგილები მთლად დაკავებულია. თავმჯდომარის მაგიდასთან მიდიან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე — დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი**, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი — დეპუტატები **ჩ. ა. ასლანოვა** და **მ. ვ. კულაგინი**, ლოჟებში კი შედიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და მთავრობის წევრები. დეპუტატები და სტუმრები მათ ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან.

სხდომას ხსნის ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — დეპუტატი **ჩ. ა. ასლანოვა**. დღის წესრიგის მესამე საკითხის — სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ თანამოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს — დეპუტატ **ი. ს. ხოხლოვს**.

— სსრ კავშირის მთავრობამ,—ამბობს მომხსენებელი, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე განსახილველად შემოიტანა პროექტი 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა 182.586 მილიონი მანეთის რაოდენობით. ეს უდიდესი ბიუჯეტი თითქმის 26.697 მილიონი მანეთით ანუ 17,1 პროცენტით აღემატება წარსული წლის ბიუჯეტის შესრულებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა სრული შესაბამისობით და სავსებით შეესაბამება მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმას.

დაწვრილებით უკეთებს რა ანალიზს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის სტრუქტურას, დეპუტატი ხოხლოვი აღნიშნავს მოკავშირე რესპუბლიკათა საკუთარი და მათ განკარგულებაში დატოვებული შემოსავლის სწრაფ ზრდას. ეს შემოსავალი 1940 წლის ბიუჯეტში შეადგენს 75,6 პროცენტს, 1939 წლის ბიუჯეტში კი 58 პროცენტი იყო. შემოსავლის სწრაფი ზრდა მთავრობას შესაძლებლობას აძლევს, ხარჯების მნიშვნელოვან გადიდებასთან ერთად, შექმნას წინა წლებისაზე მეტი საბიუჯეტო რეზერვი. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა საშუალებას გვაძლევს გავაძლიეროთ სახალხო მეურნეობისა და სოციალ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება და გავითვალისწინოთ ქვეყნის თავდაცვისათვის 57 მილიარდი მანეთი.

— ამხანაგ სტალინს, — ამბობს მომხსენებელი, — არაერთხელ გაუფრთხილებია ჩვენი ხალხი იმის შესახებ, რომ საჭიროა მუდამ სრული მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში ვიყოთ და არასოდეს არ დავივიწყოთ კაპიტალისტური გარემოცვა.

ამის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე და მესამე სესიამ მნიშვნელოვნად გაადიდა ხარჯები ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის.

საბრძოლო მოქმედებამ მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა განთავისუფლებამ, თეთრფინელებთან ბრძოლამ—ყველა ამ ამბებმა, რომლებიც საბჭოთა იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა და რომლებმაც ცხადჰყვეს ჩვენი მამაცი წითელი არმიისა და სახელოვანი წითელი ფლოტის უძლეველი საბრძოლო ძლიერება, დაადასტურა, რომ უმაღლესი საბჭოს სესიების გადაწყვეტილებანი თავდაცვისათვის ასიგნობათა გადიდების შესახებ მართებული იყო.

ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისია დარწმუნებულია, რომ უმაღლესი საბჭოს დღევანდელი სესია მოიწონებს და დაამტკიცებს 57 მილიარდ მანეთს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის შემდგომი განმტკიცებისათვის.

დეპუტატები და სტუმრები მხურვალე ტაშით ეგებებიან მომხსენებლის ამ სიტყვებს.

იზრდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტი. განსაკუთრებით ძლიერ მატულობს ბიუჯეტი უკრაინისა — 19 პროცენტით — და ბელორუსიისა — 54,21 პროცენტით. ამ რესპუბლიკათა ბიუჯეტის ასეთი ზრდა, — აცხადებს მომხსენებელი,— გამოჰხატავს საბჭოთა მთავრობის სურვილს უზრუნველჰყოს უახლოეს წლებში უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების ხალხებისათვის კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის ისეთივე აყვავება, როგორსაც მიაღწიეს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლების განმავლობაში. ამხ. ხოხლოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკათა 1940 წლის ბიუჯეტების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს საკუთარი და მათ განკარგულებაში დატოვებული შემოსავლის ზრდა და ბრუნვის გადასახადის ანარიცხების შემცირება.

მომხსენებელი სესიას აუწყებს, რომ ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისია იწონებს სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც მთავრობამ განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოუდგინა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. ამასთანავე საბიუჯეტო კომისიას შესაძლებლად მიაჩნია ეროვნებათა საბჭოს განსახილველად წარმოუდგინოს ბიუჯეტში შესატანი მთელი რიგი ცვლილებანი. კერძოდ, იგი აცხადებს, რომ საბიუჯეტო კომისიამ გამონახა იმის შესაძლებლობა, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში დამატებით შემოვიდეს 1.371.684 ათასი მანეთი.

დეპუტატი ხოხლოვი ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის სახელით იძლევა აგრეთვე დასკვნას სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და წინადადება შეაქვს დამტკიცებულ იქნას უცვლელად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსათვის განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი ანგარიში.

სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო გამართულ კამათში პირველი გამოდის დეპუტატი **ვ. გ. ვანეევი**.

მან თავისი სიტყვა მიუძღვნა უმთავრესად იმ გარდატეხის დახასიათებას, რომელიც ბელორუსიის დასავლეთ ოლქების ცხოვრებაში მოხდა ამ უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში გაიხსნა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, 30 ტექნიკუმი, 9 საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლა. დიდი მუშაობაა განხორციელებული ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

წარმატებით მიმდინარეობს ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთ ოლქების მრეწველობის აღდგენა და გაფართოება, ვითარდება სოფლის მეურნეობა. 25 ათასზე მეტმა უძროხო და 10 ათასზე მეტმა უცხენო საგლეხო მეურნეობამ ძროხა და ცხენი მიიღო. წელს იქმნება 101 მანქანა-ტრაქტორთა სადგური და 5 მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნო. დაიწყო დნეპრ-ბუგის არხის რეკონსტრუქცია. ეს წყლის გზა მრავალ სასოფლო რაიონს გამოაცოცხლებს და იმის შესაძლებლობას შექმნის, რომ ამოშრობილ იქნას 100 ათასამდე ჰექტარი ჭაობიანი მიწა.

1940 წლის ბიუჯეტით დასავლეთ ოლქების სახალხო მეურნეობაში განზრახულია დაბანდებულ იქნას 98,2 მილიონი მანეთი. უდიდესი თანხები იქნება დაბანდებული სათბობი მრეწველობის, სატყეო და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში და ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის.

დიდი ასიგნობანია გათვალისწინებული კულტურულ ღონისძიებათათვის, განათლებისათვის და ჯანმრთელობის დაცვისათვის.

დეპუტატი ვანეევი სესიას სთხოვს გაადიდოს ასიგნობანი ბელორუსიის საწისქვილო მეურნეობის და ადგილობრივი ტორფის მრეწველობის განვითარებისათვის. დასასრულ, ორატორს წინადადება შეაქვს დამტკიცებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიისათვის განსახილველად წარმდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტი იმ ცვლილებებით, რომლებიც შეაქვს საბიუჯეტო კომისიას.

დეპუტატმა **მ. კ. დოლბამ** თავის სიტყვაში დიდი ყურადღება დაუთმო საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმატებებს. დიდი კაპიტალდაბანდებათა და სტალინური ხუთწლედების წარმატებით განხორციელების შედეგად რესპუბლიკაში შექმნილია მძლავრი მრეწველობა — ენერგეტიკული, მეტალურგიული, სამთამადნო, მანქანათმშენებლობისა და ნავთისა. საქართველოს 1940 წლის ბიუჯეტი, რომელიც საკავშირო მთავრობის მიერ გათვალისწინებულია 1.222.700 ათასი მანეთის რაოდენობით, კიდევ უფრო განამტკიცებს ამ აყვავებული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

დიდია კაპიტალდაბანდებანი საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. საქართველო ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების ქვეყნად იქცა. 1940 წლის 1 იანვრისათვის ჩაის პლანტაციებს აქ 47 ათას ჰექტარზე მეტი ეკავა.

წლითი-წლობით მატულობს ასიგნობანი საქართველოს სს რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. ქართველი ხალხი კომუნისტური პარტიისა და ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით წარმატებით ავითარებს ფორმით ნაციონალურსა და შინაარსით სოციალისტურ კულტურას.

დეპუტატი **მ. ნურბაევი** ლაპარაკობს ყირგიზეთის სსრ ბიუჯეტის ზრდაზე, რომელიც გამოჰხატავს ყირგიზი ხალხის უდიდეს გამარჯვებებს. საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში, განსაკუთრებით, სტალინური ხუთწლედების განმავლობაში, რესპუბლიკაში აგებულია ათობით ფაბრიკა-ქარხანა, ელექტროსადგურები, ქვანახშირის შახტები, მაღაროები და სხვა საწარმოები. რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობა აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით. წლითი-წლობით მატულობს ასიგნობანი განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის.

ამხ. ნურბაევი უერთდება სხვა დეპუტატების გამოსვლას და იწონებს სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც წარმოდგენილია უმაღლეს საბჭოში განსახილველად. განსაკუთრებული კმაყოფილებით მიესალმება იგი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის გათვალისწინებულ ასიგნობებს 57 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

შემდეგ ორატორი სესიის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ყირგიზეთის სს რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის შემოსავლის და სხვა მისი შემოსავლის განსაზღვრის დროს სსრ კავშირის ფინსახკომს დაშვებული აქვს გამოანგარიშების არაზუსტობა, და სთხოვს სესიას გაითვალისწინოს ეს ბიუჯეტის დამტკიცებისას.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. **პ. ვ. სმირნოვს**. იგი აღნიშნავს, რომ შარშან ხორცისა და რძის მრეწველობამ სახელმწიფო ბიუჯეტს მისცა 7.279 მილიონი მანეთი. ვადაზე ადრე შეასრულეს რა 1939 წლის საწარმოო გეგმა, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის მუშაკებმა პირობა მისცეს პარტიასა და მთავრობას და პირადად ამხანაგ სტალინს ვადამდე შეასრულონ 1940 წლის საწარმოო გეგმა. ხორცისა და რძის მრეწველობის მუშაკთა კოლექტივის სახელით სახკომი აღუთქვამს დეპუტატებს, რომ ეს ვალდებულება შესრულებული იქნება.

შემდეგ ამხ. სმირნოვი აღიარებს, რომ ხორცისა და რძის მრეწველობას ჯერ კიდევ სრულიადაც არ ამოუწურავს ის რეზერვები და შესაძლებლობა, რომლებიც მას მოეპოვება. არასაკმაოდ არის განვითარებული პირუტყვის გასუქება — ის საქმე, რომელიც სწორი ორგანიზაციის პირობებში ჩვენს ქვეყანას 1939 წელსავე მისცემდა დამატებით 200 ათასამდე ტონა მაღალხარისხოვან ხორცს. ყოველდღიურად იკარგება ათეული ათასი ტონა ხორცი იმის გამო, რომ მოწესრიგებული არ არის საქონლის მიღება, შენახვა და მეტ ხანს დატოვება დამამზადებელ პუნქტებში; მრეწველობას დანაკარგი აქვს საქონლის ტრანსპორტირების დროსაც.

ამხ. სმირნოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა ყოველნაირად განვითარდეს მეფრინველეობა — მშრომელთა კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტებით მომარაგების ერთერთი უმნიშვნელოვანესი წყარო.

ტრიბუნაზეა დეპუტატი ქალი **ზ. მ. ავეზოვა**. იგი ტაჯიკურად ლაპარაკობს ამხ. ავეზოვამ თავისი სიტყვა მიუძღვნა ბიუჯეტის ანალიზს, დაწვრილებით ილაპარაკა შემოსავლისა და გასავლის ცალკეულ მუხლებზე. დეპუტატი ავეზოვა აღნიშნავს, რომ ტაჯიკეთის ბიუჯეტი 1929 წლის ბიუჯეტთან შედარებით 11-ჯერ და მეტადაც გაიზარდა. ტაჯიკმა ხალხმა სტალინური ხუთწლედების განმავლობაში დიდ წარმატებებს მიაღწია. რესპუბლიკის ქალები, წინათ უუფლებონი და ჩაგრულნი, ამჟამად ფარანჯას იხსნიან და აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტურ მშენებლობაში.

ამხ. ავეზოვამ შუამდგომლობა აღძრა ეროვნებათა საბჭოს წინაშე, რათა დამატებით იქნას გაღებული ასიგნობანი ტაჯიკეთის საბავშვო ბაღების, საბავშვო ბაგების და სამშობიარო სახლების ქსელის განვითარებისათვის, განსაკუთრებით რესპუბლიკის მთიან რაიონებში საშუალო სკოლების ქსელის გაფართოებისათვის.

დეპუტატმა **ზ. ხ. ხარისოვმა** სესიის ყურადღება მიაქცია საფინანსო ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებისადმი. სსრ კავშირის ფინსახკომი საკავშირო ბიუჯეტის შესრულებისას არასაკმაო ყურადღებას უთმობს ადგილობრივ ბიუჯეტების შესრულებას. ფინსახკომი სუსტად ხელმძღვანელობს შემნახველ სალაროებს, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ მშრომელთა მასების მოთხოვნებს. ორატორს წინადადება შეაქვს მოეწყოს შემნახველი სალაროები ყოველ საწარმოსა და დაწესებულებასთან, რათა მეანაბრეს ყოველთვის ჰქონდეს შესაძლებლობა შეიტანოს თავისი დანაზოგი, ისე, რომ ამისათვის ზედმეტი დრო არ დაჰკარგოს. ამავე დროს ამხ. ხარისოვი სურვილს გამოსთქვამს, რომ თავის დროზე იქნას შედგენილი და დამტკიცებული მშენებლობის პროექტები და თავის დროზე ხდებოდეს ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმება, რაც საშუალებას მოგვცემს სავსებით გამოვიყენოთ ახალი მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ს. ვ. კაფტანოვი** ლაპარაკობს იმაზე, რომ საბჭოთა ხალხი იპყრობს მეცნიერებისა და ხელოვნების სულ ახალ-ახალ მწვერვალებს. ასიგნობანი, რომლებიც გათვალისწინებულია კულტურული ღონისძიებებისათვის სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, რასაც სესია იხილავს, მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის სტალინური მზრუნველობის ბრწყინვალე გამოხატულებას წარმოადგენენ.

სოციალურ-კულტურული საჭიროებისათვის 1940 წელს გათვალისწინებულია 42.800 მილიონ მანეთზე მეტი; აქედან 23 მილიარდი განკუთვნილია განათლებისათვის. სამეცნიერო დაწესებულებანი 1940 წელს 1.357 მილიონ მანეთს მიიღებენ.

ამასთანავე ამხ. კაფტანოვს მოჰყავს სამეცნიერო მუშაობისათვის გათვალისწინებულ ასიგნობათა უმართებულო გამოყენების მრავალი ფაქტი. ზოგიერთი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის თემატიკა მოწყვეტილია ცხოვრებას, მას განყენებული ხასიათი აქვს. სახკომატები საკმაო ყურადღებას არ უთმობენ ძვირფას სამეცნიერო აღმოჩენათა, წინადადებათა და გამოგონებათა გავრცელებას.

უდიდესი წარმატებანია მიღწეული უმაღლესი განათლების განვითარების დარგში. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში უმაღლეს სასწავლებელთა რაოდენობა 150-დან 714-მდე გადიდდა. ამჟამად უმაღლეს სასწავლებლებში დაახლოებით 600 ათასი სტუდენტი სწავლობს. წელს ჩვენი ქვეყანა მიიღებს ინჟინერთა ახალ რაზმს, რომელიც 110 ათასი კაცისაგან შესდგება.

შემდეგ ამხ. კაფტანოვი სესიის ყურადღებას მიაქცევს უმაღლეს სასწავლებელთა ზოგიერთი გადაუდებელი საჭიროებისადმი. ამხ. კაფტანოვი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ კარგი მდგომარეობა არ არის ახალგაზრდა სპეციალისტების გამოყენების მხრივ. თვითეული სპეციალისტის მომზადებისათვის ჩვენი ქვეყანა 30 ათასამდე მანეთს ხარჯავს. ზოგიერთი სახკომატი ამას ანგარიშში არ უწევს. სპეციალისტთა უმრავლესობა სამმართველოთა აპარატებში მუშაობს. მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობაში უშუალოდ წარმოებაში გამოყენებულია ინჟინერთა მხოლოდ 8 პროცენტი, ნავთის მრეწველობაში — 21 პროცენტი, თევზის მრეწველობაში — 17 პროცენტი.

ამხ. კაფტანოვის სიტყვით დამთავრდა ეროვნებათა საბჭოს მეექვსე სესიის სხდომა. მორიგი სხდომა შესდგება 2 აპრილს 18 საათზე. (საკდესი).

უცხოეთის პრესის გამოძახილი ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიაზე სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

საფრანგეთი

პარიზი, 1 აპრილი (საკდესი). პარიზის ყველა გაზეთი აქვეყნებს ანგარიშს ამხ. მოლოტოვის მოხსენების შესახებ და იძლევა მის ვრცელ კომენტარს. ყველაზე დიდრონი გაზეთები, კერძოდ, „პტი პარიზიენი“, „ჟურნალი“, „ეპოქი“, „ევრი“ და სხვები, დაწვრილებითს ანგარიშს ათავსებენ მოხსენების შესახებ. გაზეთებმა: „ორდრმა“, „ვიქტუარმა“, „ჟუსტისმა“ და „ევრმა“ ხაზგასმით აღნიშნეს სათაურებში, რომ „მოლოტოვი კატეგორიულად ადასტურებს სსრ კავშირის ნეიტრალიტეტს“. მთელი რიგი გაზეთები „ტანი“, „პარი სუარი“, „პტი პარიზიენი“ და სხვ. აშკარა გაბოროტებით და გაჯავრებით გამოეხმაურნენ ამხ. მოლოტოვის მოხსენებაში მოყვანილ ფაქტებს, რომელნიც ამჟღავნებენ ომის გამჩაღებელთა ზრახვებს და მათი გეგმების ჩაშლას ფინეთში. ამ გაზეთების კომენტარებს უხეში ანტისაბჭოთა გამოსვლები ახლავს თან. მაგრამ საფრანგეთის პრესის საერთო ანტისაბჭოთა გუნდში რამდენიმე ფხიზელი ხმა გამოირჩევა. მაგალითად, გაზეთები „ეპოქი“ და „ორდრი“ აღიარებენ, რომ სსრ კავშირის პოლიტიკა ახლანდელ ომში არის პოლიტიკა ჭეშმარიტი ნეიტრალიტეტისა. გაზეთი „ორდრი“ აღნიშნავს, რომ სსრ კავშირმა დაადასტურა თავისი მშვიდობიანი პოლიტიკა ყველა ქვეყნის მიმართ ფინეთის ჩათვლით“.

რუმინეთი

ბუქარესტი, 1 აპრილი (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „რუმინეთის ყველა გაზეთი აქვეყნებს მოლოტოვის სიტყვას და ვრცელ კომენტარებს უძღვნის მას. „ტიმპული“ მოწინავე სტატიაში ხაზს უსვამს სიტყვის უკანასკნელ ნაწილს, სადაც მოლოტოვი აცხადებს, რომ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია მშვიდობიანობისა და უშიშროების უზრუნველჰყოფა, ნეიტრალიტეტის შენარჩუნება და ომში ჩაურევლობა. გაზეთი სწერს, რომ ამ განცხადებამ შეიძლება მხოლოდ კმაყოფილების გრძნობა გამოიწვიოს სსრ კავშირის მეზობლებში, „რომლებმაც დეკლარაციებში თვითონ გამოსთქვეს სურვილი დაამტკიცონ, რომ მათ განზრახული აქვთ ომის გარეშე დარჩნენ“.

შვეციის მთავრობის დეკლარაცია

ბერლინი, 1 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო სტოკჰოლმიდან გადმოგვცემს, რომ დღეს შვეციის მთავრობამ რიქსდაგის ორივე პალატის წინაშე გამოაქვეყნა დეკლარაცია რუსეთ-ფინეთის კონფლიქტის დროს მომხდარი პოლიტიკური და დიპლომატიური ამბებისა და შვეციის პოზიციის შესახებ. ზედა პალატაში დეკლარაცია წაიკითხა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰიუნტერმა, ქვედა პალატაში — პრემიერ-მინისტრმა ჰანსონმა. მთავრობის დეკლარაცია შეიცავს ამბების ისტორიულ მიმოხილვას და ახალ ცნობებს, თუ როგორ ცდილობდნენ დასავლეთის სახელმწიფოები გაერთულებინათ მდგომარეობა ჩრდილოეთში თავისი ჯარების გაგზავნით. შვეციის მთავრობის პოზიციის შესახებ, დეკლარაციაში სხვათა შორის, ნათქვამია: „როგორც ფინეთის, ისე შვეციის მხრივ დადასტურებულია, რომ შვეციის მიერ ფინეთისათვის გაწეული დახმარება ფართო და მნიშვნელოვანი იყო. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოების მხრივ, განსაკუთრებით, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მხრივ ფინეთისათვის დახმარების გაწევას, შვეციის მთავრობამ თავიდანვე საქმით დაამტკიცა თავისი მზადყოფნა გაეადვილებინა მასალების მიწოდება, აგრეთვე მოხალისეთა გატარება შვეციის ტერიტორიაზე. მაგრამ როდესაც შვეციას მეომარი ქვეყნების ჯარების გატარება მოსთხოვეს, მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია დართოს ამისი ნება. დასასრულ, მთავრობამ იმის გამო, რომ ფინეთის მთავრობა მზად იყო კვლავ დაეწყო მოლაპარაკება, თავისი დახმარება შესთავაზა“. მთავრობის დეკლარაცია შეიცავს საინტერესო ახალ ცნობებს დასავლეთ სახელმწიფოების პოზიციის შესახებ. მაგალითად, 2 მარტს, მაშასადამე, იმ დროს, როდესაც ფინეთსა და რუსეთს შორის უკვე მოლაპარაკება იყო ზავის შესახებ, დალადიემ შვეციის მეფეს მიაწოდა ცნობები დასავლეთ სახელმწიფოების იმ ჯარების რიცხვის შესახებ, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ ფინეთში გასაგზავნად, და არკვევდა შვეციის ტერიტორიაზე ამ ჯარების გატარების შესაძლებლობას. შვეციის მეფემ საპასუხო დეპეშაში სურვილი გამოსთქვა, რომ დასავლეთ სახელმწიფოთა მიერ განზრახული მოქმედება არ განხორციელებულიყო, ვინაიდან მას ძალიან აშინებს მისი შედეგები. მეფემ დასძინა, რომ კვლავ ცდილობენ მიაღწიონ ფინეთისათვის მისაღები ზავის დადებას. იმავე დღეს ინგლისის სტოკჰოლმელმა დესპანმა შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრს გააცნო დასავლეთ სახელმწიფოების თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ფინეთისათვის ქმედი დახმარების აღმოჩენის ერთადერთ საშუალებას ჯარის გაგზავნა წარმოადგენდა. ამ ჯარებს ნორვეგიისა და შვეციის ტერიტორია უნდა გაევლოთ. ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს ითხოვოს ოფიციალური თანხმობა ჯარების გატარების შესახებ. ინგლისის მთავრობას შეგნებული აქვს, რომ შვეციისა და ნორვეგიის მთავრობებს, შესაძლოა, იმის შიში ჰქონოდათ, რომ ეს გერმანიის მხრივ ძლიერ რეაქციას გამოიწვევდა. ამ შემთხვევისათვის დასავლეთის სახელმწიფოები აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან ფართო სამხედრო დახმარება გაუწიონ შვეციასა და ნორვეგიას, რისთვისაც მზადება უკვე სწარმოებსო. ინგლისის ამ განცხადებას იმავე დღესვე დაუჭირა მხარი საფრანგეთის ელჩმა. მაგრამ 2 და 3 მარტს შვეციის მთავრობამ ამ შეკითხვაზე სიტყვიერი უარით უპასუხა. 5 მარტს ფინეთის მთავრობამ შვეციის მთავრობისა და მისი მოსკოველი დესპანის საშუალებით განაცხადა, რომ იგი პრინციპულად იღებს რუსეთის წინანდელ წინადადებებს და ელოდება ცნობას მოლაპარაკების დროისა და ადგილის შესახებ. იგი წინადადებას იძლევა დადებულ იქნას დროებითი ზავი. შვეციის დესპანმა ეს მოსკოვს აცნობა 6 მარტს, დილის 11 საათზე. მაგრამ დროებითი ზავის შესახებ მიცემული წინადადება რუსეთმა უარჰყო. 6 მარტს საბჭოთა მთავრობას ეცნობა, რომ ფინეთის მთავრობამ გადასწყვიტა დელეგაცია გაეგზავნა მოსკოვში. 8 მარტს შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ინგლისისა და საფრანგეთის დესპანებს აცნობა, რომ შვეცია ხელს უწყობს საზავო მოლაპარაკებას. ამასთან ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ამ საკითხში არ არსებობს კონტაქტი შვეციასა და გერმანიას შორის. ამავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნავდა, რომ მართალი არ არის ხმები, ვითომც შვეცია ზეგავლენას ახდენს ფინეთზე. მიუხედავად იმისა, რომ საზავო მოლაპარაკება გრძელდებოდა, 12 მარტს, დილის 12 საათზე, როგორც შვეციის მთავრობის დეკლარაცია ადასტურებს, ინგლისის დესპანმა შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა დოკუმენტი, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ინგლისის მთავრობამ ფინეთის მთავრობისაგან მიიღო არაორაზროვანი შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა დაუყოვნებლივ მისცენ წინადადება შვეციისა და ნორვეგიის მთავრობებს გაატარონ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები ფინეთში შვეციისა და ნორვეგიის ტერიტორიაზე. დესპანი შუამდგომლობდა, რომ შვეციის მთავრობას თანხმობა მიეცა შვეციის ტერიტორიაზე ჯარის შენაერთების დაუყოვნებლივ გატარების შესახებ. ასეთივე ცნობა გადასცა ინგლისის დესპანმა ოსლოში. ამის შესახებ შვეციის მთავრობის დეკლარაციაში ნათქვამია: „იღებს რა მხედველობაში იმ სტადიას, რომელსაც მიაღწია მოსკოვში წარმოებულმა საზავო მოლაპარაკებამ, და ითვალისწინებს რა, რომ თანახმად ტანერის მიერ შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის მიცემული კატეგორიული სიტყვისა იმის შესახებ, რომ ფინეთს არ უთხოვია დახმარება დასავლეთის სახელმწიფოებისათვის, ჰიუნტერმა ინგლისის დესპანს უპასუხა, რომ ეს საკითხი ყოველ შემთხვევაში ხვალამდე მაინც უნდა გადაიდოსო. იმავე დღეს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება“.

გერმანიის „თეთრი წიგნი“

ბერლინი, 31 მარტი (საკდესი). გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა „თეთრი წიგნი“, რომელიც შეიცავს პოლონურ საბუთებს ახლანდელი ომის წინა დროის ისტორიის შესახებ. „თეთრი წიგნის“ პირველ გამოცემაში გამოქვეყნებულია 16 საბუთი, რომლებიც იბეჭდება პოლონურ (დედნების ფაქსიმილე) და გერმანულ ენაზე.

გუშინ უცხოეთის პრესის წარმომადგენელთა კონფერენციაზე, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში მოეწყო, კონფერენციის მონაწილეთ უჩვენეს იმ 9 საბუთის დედნები, რომლებიც „თეთრ წიგნშია“ მოთავსებული.

○

ბერლინი, 31 მარტი (საკდესი). გერმანიის გაზეთებმა გუშინ დაბეჭდეს „თეთრი წიგნიდან“ ამოღებული ზოგიერთი საბუთი. ამასთან დაკავშირებით „ფელკიშერ ბეობახტერი“ სწერს:

„გერმანიის მესამე „თეთრ წიგნს“ ინგლის-გერმანიის ახლანდელი ომის წინაისტორიის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მადლობელი ვართ იმ ბედნიერი გარემოებისა, რომ პოლონეთის უკანასკნელ მთავრობას ვარშავიდან გაქცევის გამო საშუალება არა ჰქონდა მოესპო თავისი გაკოტრებული პოლიტიკის დოკუმენტალური კვალი. ბეკის რეზიდენციაში ჩვენ ვიპოვნეთ მთელი ვაგონი მასალა, რომელიც სახელს უტეხავს არა მარტო მათ უკანასკნელ პატრონს, არამედ სხვადასხვა მთავრობებსაც და აგრეთვე ცალკეულ დიპლომატებსაც. ამ საბუთების პირველმავე დათვალიერებამ ის გამოიწვია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა გამოეშვა „თეთრი წიგნი“. ეს საბუთები ცხადჰყოფენ დასავლეთი ევროპის სახელმწიფოების სურვილს მოსპონ გერმანია ომის საშუალებით. ეს განზრახული იყო ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ, მანამდე, სანამ გერმანია „თავს დაესხმოდა“ პრაღას, რაც, ჩემბერლენის სიტყვით გადამწყვეტი ფაქტორი იყო და რამაც შეაბრუნა ინგლისის პოლიტიკა.

პოლონეთის საზღვარგარეთელი ელჩები, რომელთა ცნობებიც შეადგენს ამ წიგნის მთავარ შინაარსს, საკმაოდ შორსმჭვრეტელი ადამიანები იყვნენ. მათ იცოდნენ, თუ ვისთან ჰქონდათ საქმე პარიზსა და ლონდონში, და მდგომარეობა უფრო კარგად ესმოდათ, ვიდრე ვარშავაში. რა დახმარება იყო მოსალოდნელი ჩემბერლენისა და დალადიესაგან? ყველა ცნობაში წითელი ზოლივით არის გატარებული იმის შიში, რომ პოლონეთს უნდა გადაჰხდეს იმისათვის, რომ პლუტოკრატიულ ქვეყნებს ევროპის ახალგაზრდა სახელმწიფოები სძულთ. არანაკლებ საინტერესოა ის დოკუმენტებიც, რომელნიც ცხადჰყოფენ, თუ რა ზეგავლენას ახდენდნენ მცირე ნეიტრალურ სახელმწიფოებზე.

ასეთ დოკუმენტებს წარმოადგენს პოლონელ ელჩთა ცნობები ამერიკელი დიპლომატების — ბულიტის, კენედისა და ბიდლის როლის შესახებ. ეს სამი ვაჟბატონი და, უწინარეს ყოვლისა, მისტერ ბულიტი პარიზში, დაივიწყეს რა თავიანთი ღირსება, იმას ცდილობდნენ, რომ მიეახლოვებინათ ევროპა ომისათვის. რამ აიძულა ეს შორეული ამერიკიდან წამოსული ვაჟბატონები, რომ გამხდარიყვნენ არა მარტო პოლონელთა მოთხოვნების თავგამოდებული გამტარებლები, არამედ პოლონელთა გაბოროტების გაძლიერების ხელისშემწყობნიც?

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ზოგიერთ დოკუმენტს, დანარჩენი დოკუმენტები უახლოეს დღეებში დაიბეჭდება. „თეთრი წიგნი“ გადმოგვცემს ყველა დოკუმენტს არა მარტო გერმანულად, თარგმნილს, არამედ მათს პოლონურ ორიგინალსაც ვარშავის ნომრებითა და ხელმოწერით“.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „რიგოლეტო“, **რუსთაველის სახელობის** — „ყაჩაღები“, **მარჯანიშვილის სახელობის**—„გიორგი სააკაძე“, **მუსკომედია** — „უჩინ მაჩინი“.

კინოებში: რუსთაველის სახ.—„არინკა“, **ოქტომბერი** — „გამანადგურებელნი“, **დამკვრელი** — „არინკა“, **კომკავშირელი** — „წყნარი დონი“, **სპარტაკი** — „გამანადგურებელნი“, **ლუქსემბურგის სახ.**—„ბედნიერების მაძიებელნი“. **26 კომ. სახ.**—„მექსიკის დიპლომატები“, **კომინტერნი**—„საზღვარზე“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი
1939—40 წ. სეზონი.
3 აპრილს
შ. ჩხეიძე
პრემიერა
გიორგი სააკაძე
დადგმა ვ. ყუშიტაშვილის, მუსიკა ა. მელვინეთუხუცესის, მხატვრობა ს. ქობულაძისა და დ. ძნელაძის, კონსულტანტი პროფ. შ. ამირანაშვილი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მშობლები სინო, მატრონა, ძმები გრიშა, ბიძინა ცოლშვილით, დები სონიჩკა, ნადია, ვალიკო, ქსენია აბესაძეები იუწყებიან
კალისტრატე სინოს-ძე აბესაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. მუხურაში. 5898

შვილი ცაცუ (დომნიკა), სიძე პარმენ რატიანი შვილებით თინათი, ნინოთი იუწყებიან
დესპინე ფარნაოზის-ასულ ზუმბაძე-ნინუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 3/IV ქ. ცხაკაიაში. 5887

პირველი საბავშვო ბაღის თანამშრომლები და „0“ (ბ) ჯგუფის ბავშვების მშობლები თანაგრძნობას უცხადებენ ზინა არჩუაძეს მისი შვილის
პალუშას
გარდაცვალების გამო.

მარიამ სონღულაშვილი შვილებით ნინოთი, გოგათი, ვახტანგით, რძლებით თამარით და ელენეთი იუწყებიან რძლის
ნატალია ისაკის-ასულ სონღულაშვილის
გარდაცვალებას. 5883

წერეთლი, კაპანაძე, ხიდაშელი, არჩაია, არევაძე, ზერაძე, მერკვილაძე, ბრეგვაძე, ჯიმშელეიშვილი, გოგოლაძე, ცქიტიშვილი, ბაღდაროვი, დუგლაძე, ძაბირაძე, კავილაძე, დევიძე, ნებიერიძე, გაჩეჩილაძე, კოტიშაძე, სახუაძე, კამკამიძე, მაღრაძე, ფერაძე იუწყებიან ვალიკო სალაძის მეუღლის
ელენეს
გარდაცვალებას. 5845

შვილი ნადო, შვილიშვილი თამარ გომელაურები იუწყებიან
ელისაბედ ვარდიაშვილის
გარდაცვალებას.

დეიდა მერი გობეჩია-კევლიშვილისა ქმარშვილით იუწყება
ნელი ჩხეიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/IV 7 ს. რკ. გზის საავადმყოფოში. გამოსვენება 4/IV საღ. 5 ს.

ეკატერინე მოსიაშვილი იუწყება მარიამ ავეტიქოვის ძმის
სერგოს
გარდაცვალებას. 5900

ბერიას სახ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრა—პროფ. ნ. კეცხოველი, ა. ლორთქიფანიძე, ე. ვეზირიშვილი, ა. კობაიძე, კ. მანელოვა იუწყებიან ქსენიას მამის
ივანე ახმეტელის
გარდაცვალებას. 5896

მშობლები ლავრენტი, მარო, ბიძა დათიკო, ბიცოლა ლენა, ბაბუა ნესტორ, ბებია ანიკა გორგიძეები იუწყებიან პატარა
ბორის ლავრენტის-ძე გორგიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 4/IV 5 ს. ლენინის, 85 (ასბინიანი შენობა). 5905

შვილები ნადო, ვარო, ნუცა, დომნა, შვილიშვილები თამარ, ნათელა, სიძე დათა მირიანაშვილი იუწყებიან
ელისაბედ ვარდიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/IV, საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა 4/IV, 4½ საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. ყაზბეგის ქ. № 3.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებები საპარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების— 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 190